წელიწადი მე-2 ტელეფონი № 76. კვირა, 9 ოქტომბერი

# სამშობლო

ფასი 5 კ.

**გაზეთის ფასი:** წლიურად 9 მან., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აპ. ცალკე ნომერი ერთი შაური. **დამატებით** 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი [illegible] პეტიტით ღირს 15 კ., [illegible] სხვა ადგილებიდან კავკასიის [illegible] ბულ განცხადებათა ფასი [illegible] ტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კაპ. გლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 4 მ. 2 საათის შემდეგ 5 მან.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თბილისის ქ., კნ. მიქელაძის სახლებში.

№ 456 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. № 456

პავლე მიხეილის ძე როინიშვილი და შვილები მისი: მეოთხე კურსის მედიკური ფაკულტეტის სტუდენტი ტიტიკო, პრაპორშჩიკი მიხეილი, შალვა და კლინა, რძალი რაისა ბართლომეს ასული როინიშვილისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებას ნათესავთა და მეგობრებს პირველი საყვარლის მეუღლისა, მეორენი ძვირფასი დედისა და მესამე დაუვიწყარის დედამთილისა,

**ქრისტინე პეტრეს ასულის როინიშვილისას.**

სთხოვენ რათა პატივი სცენ, მობრძანდენ და დაესწრონ მიცვალებულის გამოსვენებას ამა ოქტომბრის თვის 9 რიცხვს, დღით კვირას ნაშუადღევის 4 საათზე, გაბაშვილის გორაზე, მათ საკუთარ სახლებში და ანუგეშონ ღრმათ დამწუხრებულნი ჭირისუფალნი.

---

უზომოთ დამწუხრებული დეიდა ნუცა გრიგოლის ასული, ბიძა დავით გრიგოლის ძე და შვილები გრიგოლ და ივანე აბაშიძეები ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ამ თვის 9 ში დილის 7 საათზე მოვასვენებთ სადგურზე ძვირფას დის შვილს სტუდენტს

**ლუარსაბ მიხეილის ძე მნელაძეს.**

---

## ელექტრო „რადიუმ" თეატრი

ხუთშაბათიდან, 6 ოქტომბრიდან, განსაკუთრებული პროგრამა:

### სიცოცხლე-სიცოცხლისათვის

(თითო კურცხალ ცრემლისთვის თითო ცვარი სისხლი). კინო-ილიუსტრაცია 6 ნაწილად ჟორჟ-ონეს რომანიდან. ეს სურათი მოსკოვში და პეტროგრადში ზედიზედ 18 დღე მიდიოდა.

**ა ნ ო ნ ს ი:** ორშაბათიდან, 10 ოქტომბრიდან

**ნეაპოლიტანელ ქალის ჯავრის ურა.**

მხატვრული დრამა 4 ნაწილად ცნობილ იტალიელ ლამაზ ქალის ფრანჩესკა ბერტონის მონაწილეობით.

---

**ექიმი** გაბრიელ იოსების ძე **გოკიელი** დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ.

6-8 ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. თ.

---

**ექიმი** ც. **ჩარექიშვ** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. **დაბრუნდა და განაახლა** ავათმყოფების მიღება დილით $12^1/_2$—2 საათ. საღ. 6—8 საათ. მიიღებს მხოლოდ კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს.

მისამართი: ლერმონტოვის ქუჩა, ალიხანოვის სახ. ტელეფონი № 135. თ.

---

**ექიმმა ალექსანდრე მაქსიმეს ძე ასათიანმა** განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ, ვენერიულ და შინაგან) ავათმყოფებისა ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე. პუშკინისა და ბალახვნის ქ. კუთხე, სახლი № 3 ტელეფონი № 101. თ.

---

**დოქტორი მედიცინისა**

**დიმიტრი ალექსანდრეს ძე ნაზაროვი.**

ლებულობს ბავშთა და შინაგანი სნეულებით ავათმყოფებს მუდამ დღე, მხოლოდ დილის ათი საათიდან თორმეტამდე. გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი.

10—3 დღ. გამ.

---

**მასაჟისა და სახის სამკურნალო კაბინეტი**

**მარიამ ტ. გალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს. ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას, ამასთან უცხო ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ასალ გამოგონილ წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვივდება და იღებს ასხიამოვნ ფერსა და სირბილეს.

ავადმყოფები მიიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი, გ. კოსტავას სახლები. № 37.

304—1—თვით.

---

**ვამზადებ** მოწაფეებს ყველა კლასებისათვის. პირობები ხელსაყრელია. პირობების გაგება შეიძლება ყოველდღე—ივანოვის ქ. სახ. ვ. პილაძის. შესავალი გაზ „მეგობრის" რედაქციის ბინიდან.

---

**ბებია** მ. მ. **კოხრეიძე** უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს. ალექსანდროვის ქუჩა, სვ. თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

---

## ელექტრო „ამპირ" თეატრი

ხუთშაბათიდან 6 ოქტომბრიდან

**რა თავდავიწყებით, რა რიგ უზომოდ სურდა მას ბედნიერება**

დრამა 4 ნაწილად — დრამა 4 ნაწილად

**ქრონიკა გომონი** მიმდინარე ამბები.

**პ ი რ ვ ე ლ ი უ ს ი ა მ ო ვ ნ ე ბ ა** სახუმარო.

**ა ნ ო ნ ს ი:** ორშაბათიდან, 10 ოქტომბრიდან

**თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ქ ა ლ ი შ ვ ი ლ ი**

საუკეთესო ფრანგ მსახიობთა მონაწილეობით. მთელი სურათი ფერადებითაა შესრულებული

---

## კავკასიის სამთამადნო გამგეობა

ამით აცხადებს, რომ **მისი უდიდებულესობის** ნაცვლის და ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის ნებართვით თუთხმეტს (15) ოქტომბერს ქუთაისში დანიშნულია შორაპნის მაზრის შავი ქვის მრეწველთა მე-18-ტე საგანგებო კრება კავკასიის 1-ლი სამთამადნო ოლქის ინჟინრის სტატსკი სოვეტნიკის აბრამ გრიგოლის ძის ცვეიტლინის თავმჯდომარეობით, შემდეგი საკითხების განსახილველათ:—

1—კრების მდივნის არჩევა,

2—შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ შავი ქვის მრეწველთა კრებას მიეცეს უფლება, როგორც გამონაკლისი შავი ქვის მრეწველთა კრების წესდებიდან, შეიძინოს გელზენკირხენის საზოგადოების და კავკასიის სამადნო ამხანაგობის წარმოება, და ამ მიზნით აიღოს საჭირო სესხი.

3—რ... ის გზით გატანილ შავ ქვაზე საფუძო გადასახადის ნახევარი კაპეიკით გადიდება კრების საბჭოს ვალების გასასტუმრებლათ.

---

**დაიბეჭდა** ბ. დ. უზნაძის მიერ შედგენილი წიგნი: **„მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელო"** პირველი ნაწილი **ძველი აღმოსავლეთი და პირველყოფილი კულტურა.** გამოცემა თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიისა. ფასი წიგნისა 6 აბაზი.

იბეჭდება და მალე გამოვა ბ. ს. გორგაძის მიერ შედგენილი ქრისტომატია „ჩვენი ახალი მწერლობა" და ბ. კ. ციციანის მიერ შედგენილი ალგებრა ქართულ ენაზე. 10—2

---

ხვალ კვირას 9 ოქტომბერს გაიხსნება

**ქალთა საზოგადოების კომიტეტის საჩაიე**

## „ძმა-ძმისთვის, ამ დღისთვის"

იმედია პატივცემული საზოგადოება მას მოეპყრობა ჩვეული სიმპატიით

---



Симъ довожу до свѣдѣнія г.г.

обывателей гор. Кутаиса,

Что прибылъ я, на короткое время для

**НАСТРОЙКИ И ПОЧИНКИ РОЯЛЕЙ-ПІАНИНО**

*Гост. „ФРАНЦІЯ".*

*Съ почт. фортепіан.* Техникъ [illegible]

---

# მსოფლიო ომი.

## დეპეშები

(პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან.**

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

დ. კისელინის ჩრდილოეთით მედგარი ბრძოლა მოხდა. კუროპატნიკის ჩრდილოეთით მოწინააღმდეგეს მედგარი უშედეგო იერიშები მოაქვს. სვისტელნიკის სამხრეთით ზარბაზნების დაშენის შემდეგ ჩვენს პოზიციებს მედგრად შემოუტია. დორნავატის სამხრეთით მტერმა წინსვლა იწყო. პორა ლაშუქტელუს ჩრდილოეთით, ჩვენ ხელთ ვიგდეთ ნადავლი და ტყვეები.

**კავკასიის ასპარეზი.**

სპარსეთში ჩვენი მოწინავე რაზმები ვიჯარისკენ დ. პერევალესა და დომბორთან მარჯვედ მოქმედებდნენ. ჩვენ დავაზიანეთ მარილის ქარავანი. ხელთ ვიგდეთ მრავალი ცხენი და ზარბაზნები.

---

**შავი ზღვა.**

ბოსფორის ახლო-მახლო ჩვენმა წყალქვეშამ ორი ოსმალური ტრანსპორტი დალუპა.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 6 ოქტომბერი. საღამოს 11 საათის ოფიციალური ცნობა. 5 საათზე სომმას ჩრდილოეთით გერმანელები იერიშის მოტანას ცდილობდნენ, მაგრამ სონისნისა და ბელლის ჩრდილო-აღმოსავლეთით ჩვენმა არტილერიამ მტრის მოიერიშე ჯარი გაანადგურა. დღის განმავლობაში ბიაშემეუსა და ბეზონეტონის შუა ახალი წარმატება ვნახეთ. დავატყვევეთ 350 კაცი, რომელთაგან 10 ოფიცერია. დანარჩენ ასპარეზზე დღემ მშვიდობიანად ჩაიარა.

**ჰავრი.** 6 ოქტომბერი. ბელგიის ცნობა. დიქსმიუდეს მიდამოებში, სტეენსტრატეს მიმართულებით საარტილერიო ბრძოლა მოხდა. დანარჩენ ასპარეზზე საყურადღებო არაფერი მომხდარა.

**პარიზი.** 6 ოქტომბერი. დღის ოფიციალური ცნობა. სომმას ჩრდილოეთით ღამის განმავლობაში სოფ. საკისაიზელსა და საიზესელში ფრანგები თავის პოზიციებს ამაგრებდნენ. მიუხედავად მტრის იერიშებისა, ფრანგებმა ყველა თავისი პოზიციები შეინარჩუნეს. სომმას სამხრეთით მეზონეცის ბიაშისა და ლოტარინგის შუა კვლავ წინ წაიწიეს. ლიუნევილის გარშემო გერმანელები მოულოდნელად ფრანგებს თავს დაესხნენ, მაგრამ მოგერებულ იქნენ.

**მაკედონიის ასპარეზი.**

**ლონდონი** 6 ოქტომბერი. სერბიის ოფიციალური ცნობა: 4 ოქტომბერს დობროპოლთან და სოკოლთან ბულგარელთა პოზიციებზე იერიში მივიტანეთ. დანარჩენ ასპარეზებზე ჩვეულებრივი ბრძოლები მარჯვედ მიმდინარეობს.

**პარიზი.** 6 ოქტომბრი. დოირანზე დოჯელის ჩრდილოეთით ბულგართა იერიშები მოვიგერიეთ და მტერიც საგრძნობლად დავაზარალეთ. დობროპოლის მიდამოებში ხანგრძლივი ბრძოლა მოხდა, მიუხედავათ ბულგართა მედგარი წინააღდეგობის წრრნის მარცხენა ნაპირზე მედგარი ბრძოლის შემდეგ სერბიელებმა მთელი სოფელი ხელში ჩაიგდეს და 50 კაცი ტყვედ წამოიყვანეს. მარცხენა ფრთაზე მკაცრი საარტილერიო ბრძოლა სწარმოებს.

**კორფუ.** 6 ოქტომბერი. სერბიის გენერალურ შტაბის ცნობა. პოქირის ჩრდილოეთით ბულგარელებს თავის პოზიციები დავატოვებიეთ. ჩვენ საზღვარზე მდებარე ბულგარელთა პოზიციები ავიღეთ; ხელთ ვიგდეთ ტყვეები და საომარი მასალა. დანარჩენ ასპარეზზე საარტილერიო და მოწინავე რაზმებთან ბრძოლაა.

მფრინავთა მოქმედება. სომმას სამხრეთით გუშინ მომხდარ ბრძოლების დროს ჩვენმა საფრენებმა მტრის ჯარს ყუმბარები დაუშინეს. პრაპორჩიკმა დორმმა მეთოთხმეტე საფრენი ჩამოაგდო.

**ლონდონი.** 6 ოქტომბერი. ბრიტანიის მთავარ ბინის ცნობა საფრანგეთიდან. დილით ძლიერი წვიმა მოდიოდა. ლოოსთან და არრასის სამხრეთით რვა ჩვენი რაზმები მტერს თავს დაესხა. დანარჩენ ასპარეზზე საყურადღებო არა მომხდარა რა.

**რუმინიის ასპარეზი.**

**პეტროგრადი** 7 ოქტომბერი. უმაღ. მთავარსარდლის შტაბისაგან. 7 საათზე მოწინააღმდეგემ ზარბაზნების სროლა აგვიტეხა და შემდეგ შეტევა დაიწყო. მტრის იერიშები მოვიგერიეთ და დავაზარალეთ კიდევაც. ბრძოლა გრძელდება.

# ომის დღიური.

**ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.** ველინში დ. კისელინის ჩრდილოეთით ზარბაზნების სროლის შემდეგ გერმანელებმა ძლიერი იერიში მიიტანეს რუსების პოზიციებზე. დორნავატრასთან ავსტრიელებმა რამდენჯერმე შეუტიეს რუსებს, რუსებმა იერიშები მოიგერიეს.

**ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.** რუსის მოწინავე ჯარმა წინ წაიწია.

**ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.** სომმას ჩრდილოეთით ინგლისელები მარჯვედ მოქმედებენ, თუმცა მათ მოქმედებას ხელს უშლიდა წვიმები ბელგიის ჯარის ბრძოლის პირზე საარტილერიო ბრძოლაა. სომმას სამხრეთით მეზონეტონის და ბიაშის შუა წინ წაიწია ლისენევილთან გერმანელთა იერიშები მოგერებულ იქმნენ. ფრანგებმა გერმანელების ერთი საფრენი ძირს ჩამოაგდეს.

**ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.** ცნობა არ მოსულა.

**ᲠᲣᲛᲘᲜᲘᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.** დობრუჯში რუსებმა ბულგართა იერიში მოიგერიეს. ჩრდილოეთ ბრძოლის იპრის ცნობა არ მოსულა.

**ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲘᲡ ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖᲘ.** სერბიელებმა დობსოალთან წინ წაიწიეს. ცენტრში საარტილერიო ბრძოლაა.

**ᲨᲐᲕᲘ ᲖᲦᲕᲐ.** ბოსფორთან რუსის წყალქვეშამ ოსმალთა ორი ტრანსპორტი დალუპა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

ფრანგული „ეკო დე პარი“ სწერს: საჭირო დროს ფრანგები და ინგლისელები საერთო შეტევას მოახდენენო. გაზეთის აზრით მომავალი გაზაფხული მოკავშირეებს გამარჯვებას მოუტანს.

— —

ლლოიდ ჯორჯის აზრით გერმანიამ იმიტომ დაიწყო შეტევა რუმინიის ასპარეზზე, რომ რუმინია დასაჯოს გერმანიისთვის კრიტიკულ მომენტში მის წინაამდეგ ომში ჩარევისათვის.

— —

გაზ. „ბერლინერ ტაგებლატი“ იტყობინება: გალიციაში ამ ჟამად დიდი ბრძოლები გაჩაღდა; ზოგი ზირბაზანს 2—3 ათასი ყუმბარა გაუსროლია, ქვეითა ჯარი კი თავ გამეტებით იბრძვის.

— —

გერმანელები დაპყრობილ ქვეყნებში ძალით ამუშავებენ მცხოვრებლებს ადგილების გასამაგრებლად.

გერმანიაში ჯარში გაუწვევიათ ყველა 18 წლიანები და 1870—75 წლებში კენჭ ამოღებულნი.

— —

გენ. სარაილს ახალი დამხმარე ჯარი მოსვლია ინგლისიდან.

— —

იმ გემებზე, რომლებიც მოკავშირეებმა საბერძნეთს ძალით ჩამოართვეს მეზღვაურებათ ვენიზელოსის მომხრეები დაუნიშნავთ.

— —

„საბერძნეთის დროებით მთავრობას“ ახალი მარკები შემოუღიათ.

— —

ვენიზელოსს საგარეო მინისტრად პოლიტისი დაუნიშნავს და ახლო მომავალში მას ევროპაში განსაკუთრების დანიშნულებით გზავნის.

— —

საბერძნეთის მთავრობისათვის მოკავშირეებს ახალი ნოტა წარუდგენიათ, რომელშიაც მოითხოვს ათინა-მაკედონიის რკინის გზები მათ დაუთმოს ჯარის გადასაყვანად, საბერძნეთმა საომარი მასალა მხოლოდ ლარისაში შეინახოს.

— —

ლამბროსის კაბინეტთან მოკავშირე სახელმწიფოების წარმომადგენლებმა დამოკიდებულება განაახლეს, რადგანაც ლამბროსს განუცხადებია ჩემი სამინისტრო არ აწარმოვებს ორპირ პოლიტიკას და მას მხოლოდ სამშობლოს საქმეები აინტერესებსო.

— —

ამერიკის ნალმოსნები გერმანულ წყალქვეშათა საიდუმლო ნავთ სადგურს ეძებენ ამერიკის სანაპიროებთან.

— —

გერმანულ წყალქვეშებს ატლანტიის დასავლეთ ნაწილში მოქმედება შეუწყვეტნიათ.

— —

ამბობენ საზოგადოების სურვილს ყურადღებას მიაქცევს ვილსონი და გერმანიას მოსთხოვს შესწყვიტოს წყალქვეშათა თარეში ამერიკის ახლო.

— —

დანიურ გაზეთის ცნობით იტალიელები კვლავ წინ მიიწევენ. ვაკე გორა კარსო ეხლა უკვე მთლიანად მათ ხელში ყოფილა.

— —

ამერიკულ გაზეთ „უორლდში“ მოთავსებულია ერთი წერილი, რომელშიაც სხვათა შორის სწერია: ამერიკის მიმართ გერმანია ძალიან დიდგულად არის განწყობილი და მხოლოდ უბრალო საბუთს ეძებს, რომ გაინთავისუფლოს თავი მოცემულ დაპირებიდან. თურმე გერმანიაში ვილსონი ძალიან სძულთ და თუ იგი არ გავიდა მომავალ არჩევნებზე პრეზიდენტათ, ეს დიდ ალტაცებას გამოიწვევს გერმანიაშიო. გერმანიას არად მიაჩნია ამერიკასთან ომი და ამისთვის ემზადება კიდევაც.

— —

რეიხსტაგის უმრავლესობას გადაუწყვეტია, არ იქონიოს მსჯელობა წყალქვეშათა მოქმედების განახლების შესახებ.

— —

ჰოლლანდიის სავაჭრო გემი „ბლომერსდოკი“ გერმანელთა წყალქვეშას დაუღუპავს. ამის გამო ჰოლანდიის მთავრობას პროტესტი განუცხადებია.

— —

ვენიზელოსს ამ ჟამად 20000 იანი ჯარი ჰყოლია და მას იმედი აქვს, რომ ამ რიცხვს მალე 40000 ამდე აიყვანს.

## სამხედრო მიმოხილვა

გუშინდელი დეპეშები ყველა ასპარეზებზე ბრძოლების შეწყვეტეს ჰმოწმობენ. ყველგან სიჩუმე ჩამოვარდა გარდა რუმინიის ასპარეზისა და გალიციისა ტრანსილვანიის ბრძოლების შესახებ ცნობა არ მოსულა.

ორშოვიდან დაწყებული დორნავატრამდე ე. ი. მთელ რუმინია ავსტრიის საზღვარზე მედგარე ბრძოლებია გაჩაღებული, ბრძოლები აგრეთვე ვოლინში და ბუკოვინის სამხრეთ ნაწილში, სახელდობრ დორნა ვატრასთან.

ვოლინისა და დორნა ვატრის ბრძოლებს მხოლოდ დახმარებითი ხასიათი აქვთ. მაგრამ თუ აქ გერმანელ ავსტრიელებმა ვერ გაუძლეს რუსებსა და არ შეაჩერეს რუსების წინსვლა საერთოდ მელს გალიციაში, ყოველ ეჭვს გარეშეა მაშინ ხელი უნდა აიღონ მათ რუმიაში შორს შეჭრაზე

ამნაირად ბოლოს და ბოლოს ვოლინოსა და დორნავატრის ბრძოლებს დიდი მნიშვნელობა ეძლევათ.

გაზეთების კერძო ცნობების მიხედვით ხსენებული ორი პუნქტის ბრძოლები თავის სიმკაცრით და სისასტიკით თანამედროვე ომის უდიდეს ბრძოლებს არ ჩამოუვარდებიან, ხოლო აქ ორივ მხარე ჯარებს უბრთხილდება და ბრძოლის მთელი სიმძიმე არტილერიაზე არის დამყარებული.

შვერელი.

## ქართული პრესა.

გაზ. „საქართველო“ ეხება ქართველი ერის გაერთიანების და მისი პოლიტიკური ძიების საკითხს და სხვათაშორის ამბობს:

მესამე დასი და მისი გაქაშქრება ერის ავტონომიური უფლებების წინააღმდეგ დაგვირგვინება იყო ეროვნული ენერგიის დაცემისა. ქართველი დემოკრატია იმდენად, რამდენადაც იგი მესამე დასის დროშის ქვეშ იდგა, თავის სამშობლოს ეროვნულ პოლიტიკურ აღორძინებისა და აღდგომის წინააღმდეგ გამოდიოდა. თავის წარსულთან კავშირ გაწყვეტილმა დასელობამ მიივიწყა მრავალი ისტორიული მოვლენა და გაკვეთილი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის განთიადიდან განუწყვეტლივ ჩვენს გარშემო ხდება და რომელიც გვიმტკიცებს, რომ ერის თვითარსებობის აღორძინებას უფველგან საძირკვლად დასდებია მთელი ხალხის გრძნობა და შეგნება ეროვნული თავდაცვისა. ეროვნული საზღვარი და პოლიტიკა ამ ჩვენს დროში სწორედ ერის დემოკრატიული სიმრავლის ზრუნვის საგნად არის გადაქცეული

თავის ქვეყნის მთლიანობისა და ხელუხლებობის დაცვა აღდგენაში უაღრესად თვით ეს მასსაა დაინტერესებული. ქართველ დასელობის მოღვაწეობის წყალობით კი ქართველი ხალხი გადაეჩვია ეროვნული თვითმართველობის ძიებასა და სიყვარულს.

ამ ყოვლად უმგზავსო მოვლენას დღეს თანდათან ნიადაგი ეკარგება. იბადება ახალი მიმდინარეობა. ქართველის არსებას უბრუნდება თვისი ტრადიციული სული თავდაცვისა და თვით-არსებობის განმტკიცებისა. იღვიძებს ძალა-მოკრეფილი ეროვნული ინსტიკტი და ენერგია. ქართველის პიროვნება მთელდება და მთელი საქართველო სულიერად პოლიტიკური რენესანსის ხანაში გადადის. დაკარგული ძებნს ყველას აინტერესებს. ამ მხრივ ძველი ქართველის ტიპი მკვდრეთით სდგება.

ეს ძიება ფართე მასსაში გადადის, იგი ყველას იპყრობს და ყველას ამოძრავებელ ძალად ხდება. ამ მხრივ ქართველების ცხოვრებაც საერთო კანონს მოჰყვა და მას ისეთივე დასასრული უნდა მოეცეს, როგორც ამ კანონს მოუტანია სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ხალხისათვის.

შეიძლება მესამე [illegible] იყო ისეთი რამ, [illegible] ალარც იმათ მოსწონდეთ, მაგრამ მათს მუშაობას ქართველი მდაბიო მშრომელი ხალხის პოლიტიკური გამოფხიზლებისა და სოციალური თვით შეგნებისათვის ჰქონდა და აქვს ფრიად დადებითი მხარეებიც. მესამე დასელებმა შეჰქმნეს სახალხო მწიგნობრობა და პრესა, რამაც ხელი შეუწყო ჩვენი ხალხის ეროვნულ გამოფხიზლებასაც. თვით მათი წრის თვალსაჩინო მოღვაწეთაგან გაისმა მედგარი ხმა ეროვნული დიპლომატიური უფლების მოპოებისა და თვით არსებობის დაცვის შესახებ. და თუ დღეს ჩვენ ვხედავთ სასიხარულო მოვლენას, ჩვენს ეროვნულ გამოფხიზლებასა და გაერთიანებას, ამაში მათაც დიდი წილი მიუძღვით.

რაც შეეხება იმას, რომ ვითომც ჩვენი ახლანდელი ეროვნული ძიებით „ძველი ქართველის ტიპი „მკვდრეთით სდგება“, ეს არ არის ასე და არც იქნებოდა სასურველი. ჩვენ ვიცით, რომ სამწუხაროთ ძველი საქართველო ვერ იყო ეროვნულათ გაერთიანებული, რის გამოც დანაწილებული იყო რამდენიმე სამეფო სამთავროებათ, რომელნიც ერთმანეთს სამკვდრო სასიცოცხლოთ ებრძოდენ. ამ გარემოებამააჩქარა ჩვენი პოლიტიკური თვითარსებობის მოსპობა გასული საუკუნის დამდეგს. და ქართველი ერის ახლანდელი ეროვნული ძიება კი გაცილებით უაღრესია. მას საფუძვლათ უდევს ჩვენი სამშობლო ქვეყნის ყველა კუთხეთა გაერთიანება, მისი მთლიანობის მედგარი დაცვა, ეროვნული სხეულის მთლიანი აღდგენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი ამბავი.

ორშაბათს, 10 ოქტომბერს ქალაქის გამგეობის დარბაზში საღამოს რვა საათზე შესდგება საბჭოს მორიგი სხდომა სხვა და სხვა საკითხების გამოსარკვევად.

✦ დღეს, 9 ოქტომბერს, ქალაქის თეატრში, დრ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ვ. გუნიას მიერ ნათარგმნი რუსულიდან. „კაცობრიობის კეთილმყოფელნი“.

✦ დღეს, 12 საათზე ქალაქის თეატრის დარბაზში სახ. უნ. გამგეობის თაოსნობით გაიმართება ლექციები წაიკითხავენ: ვ. წერეთელი. და გრ. გიორგაძე პირველი ხოლერის შესახებ, მეორე ერობის შესახებ.

✦ გაზ. „კუტაისკაა ვესტი“ დღეს არ გამოსულა.

✦ როგორც ამიერ კავკასიის რკინის გზის სამმართველოს გაუგია, რკინის გზის ზოგიერთი მოსამსახურენი ასრულებენ თურმე კიდევ სხვა მოვალეობას კერძო დაწესებულებებში, ამის გამო სამართველო აცნობებს რკ. გზის აგენტებს, რომ არც ერთ მოსამსახურეს არ მისცეს ნება კერძო დაწესებულებებში სამსახურისა, ის პირები, რომლებიც არ დაემორჩილებიან აგენტის შენიშვნას დათხოვნილი იქნებიან სამსახურიდან.

✦ დღეს დილის 11 საათზე რეალურ სასწავლებლის დარბაზში მოხდება მშობელთა წრის წლიური კრება რომელიც წესდების ძალით კანონიერათ ჩაითვლება რამდენიც წევრიც უნდა დაესწროს.

✦ ბეჟათ უბნის სამინისტროს ორ კლასიან შკოლის მეთვალყურე ლამბაშიძემ,

## გახსნეს! ამოალაგეს!..

(ᲔᲡᲙᲘᲖᲘ)

II

(შემდეგი იხ. „სამშ“. № 454.)

რამდენი დრო გადიოდა იმდენად უფრო საგრძნობელი ხდებოდა ანდრიას ოჯახისათვის სანდროს მოშორება. მოხუცებულობით წელში მოკაკული ანდრია ჯავრით კიდევ უფრო დასუსტდა, შვილდივით მოიხარა.

ედუკია რომ სულ დაილია, კვახში ჩასაჯენი გახდა.. ის ვერ შერიგებოდა საყვარელი შვილის მოშორებას.. შეშლილივით დაიარებოდა ეზო გარემოში და მუდამ რაღაცას პუტუნებდა. ძილში და ცხადად ერთსა და იმავე საგნის გარშემო დაფრინავდა მისი გონება. ეს საგანი იყო სანდრო. ხანგამოშვებით ედუკიას არსებაში დაგუბებული მწვავე გრძნობა გადმოხეთქდა და ამ დროს ყველას გასაგონად დაიწყებდა მოთქმას.

— სად მყავხარ სანდრო შვილო შემოგევლოს დედა შენი რად მოგვიძულე, რად მიგვატოვე, დედიკო?! რად დაგვიმსე ცეცხლი, რად გამოგვსხლიტე ტოლ ამხანაგში, რად გაგვიმწარე, შვილო, მოხუცებულობა?! მერე რავარ დროს, დედა გენაცვალოს მოგაწყვე დაგასახლე დაგაცოლშვილე... გვერდში გიდექი ვაჟკაცივით, შვილო, ძალასა და ღონეს არ ვზოგავდი. თავს გევლებოდი.. შენთან ვმუშაობდი, შენით ვცოცხლობდი... შენი იმედი მქონდა მოხუცებულობის ჟამს. ვინღა გვიპატრონებს?.. ვინ მოგვაწოდებს ლუკმას?. ვინ დაგვმარხავს დედუკებო?..

არ ვიცი რა დღეში ხარ, შვილო; ვაი თუ გშია, ან გცივა.. იქნებ ავათ ხარ შვილო, და დედა არ გყავს გვერდით..

დიდხანს დიდხანს განაგრძობდა ხოლმე მოთქმა-ქვითინს ედუკია, მაგრამ მას ყავდა ხელის შემშლელი, გამაჩუმებელი

— ედუკია, ქალო, ნუ მკლავ. შეყვირებდა ხოლმე ანდრია, დამანებე თავი შენი ღვთის გულისათვის. მადლობა ღმერთს ქონდეს . ეს ბედი გვქონია.. რა გაეწყობა... გაჩუნდი, ადამიანო, ის ქალი გაიგონებს. ხომ გახსოვს რა დაგიბარა შენმა შვილმა; ხომ გახსოვს რას გწერდა ამას წინათ?..

— მახსოვს, როგორ არ მახსოვს, შეკაცო:, ტასო არ შემიწუხოთო, ცრემლი არ დაანახოთ, გაამხიარულეთო... მაგრამ გული? ეს დასამიწებელი გული რომ არ მაყენებს: ასე და ამ გვარად ეს ორი მოხუცებული შესტიროდენ და ებრძოდენ ერთი მეორეს ყოველ ცის მარადღეს. ისინი ჩუმად ებრძოდენ იმ მწვავს გრძნობებს, რომელიც გამოიწვია მათ არსებაში სანდროს წასვლამ ებრძოდენ .. და ამ ბრძოლაში ყველა ცხადათ ხედავდა, რომ მწვავე გრძნობები იმარჯვებდა. ედუკია და ანდრია გახდენ, დაილიენ. დასუსტდენ ტასოც, მიუხედავათ იმისა, რომ ხნოვანობით სრულიად ახალგაზდა იყო, შეხედულებით ბებერს დაემსგავსა. სახე მისი დანაოჭდა, გაყვითლდა. ძველებური მიხვრა, მოხვრა მკვირცხლი საქმიანობა, მომხიბვლელი ლაპარაკი აღარ ამშვენებდენ ტასოს. მისი ახალგაზდა გონებაც ახლა მუდამ ერთ არსება უვლიდა გარს და ეს არსება იყო სანდრო.

ტასო ხშირად გადაფრინდებოდა გონებით უცხო მხარეში, ბრძოლის ველზე მილიონ ჯარის კაცებში მოძებნიდა სანდროს . გრძნობით მოეხვევოდა კისერზე გრძნობით აკოცებდა და სიყვარულით უსაყვედურებდა:

— სანდრო, არაგრცხვენია?. რად მტანჯავ, რა დამიშავებია, კაცო, შენთვის? ეგ არის შენი პირობა-მუდამ შენი ვიქნებიო, სიკვდილის გარდა ჩემ თავს ვერავინ მოგაშორებსო. რად დაარღვიე პირობა, შე კაიკაცო,. სანდრო, აღარ შემიძლია ღმერთმანი . კაცო, მე თუ არ გეცოდები, შენი პატარა ტურა მაინც რად დაივიწყე?. ის ახლა დიდი კაცია. „მამა“, „დედა“, „ბაბუა„, „ბიძია“ იცის კბილები ამოუვიდა, ფეხზე დაიარება. ა, შე ეშმაკო, ტურა დამიტოვე... დამაბი.. რომ ტურა არ იყოს, აქამდის, გეფიცები სინიდის ჩემ თავს რაღაცას აუტეხდი.. დავილალე.. დავიქანცე, კაცო.. არ შემიძლია უშენოთ ცხოვრება, სიცოცხლე რვა თვეა აღარ მინახარხარ, ჩემო სანდო, რვა თვეა არ გამიგონია შენი ღარღილი ეზო-გარემოში ასე და ამ გვარად ეპუტუნებოდა ტასო რამდენიმე ათასი ვერსით დაშორებულ თავის საყვარელ არსებას მას სურდა სულ ფიქრთა მორევში ეტრიალნა, გონებით სულ თავის მეგობართან ყოფილიყო. მაგრამ ტასოს ყავდა ამ შემთხვევაში ხელის შემშლელი, ფიქრებიდან გამომრკვევი, გამომაფხიზლებელი. ეს იყო პატარა ტურა. ტურა იყო ტასოს ერთად ერთი იმედი, ის იყო მისი სიცოცხლის ძარღვი, მისი გამამხნევებელი. ტასოს ახსოვდა ქმრის დანაბარები: ტურა გაზარდე, არ მოკლა იქნებ მაგის დრო უკვე უკეთესი იქნესო.

ტასოს ხათრი ჰქონდა შორს მყოფი ქმრის. მწვავე უნუგეშო მდგომარეობას თუ იტანდა, იტანდა ტურას გულისათვის. ტურას ეტიტინებოდა და ტურაც მას ეტიტინებოდა. ხშირად იმეორებდა ტასო შვილის მაგივრად ერთსა და იმავე სიტყვებს:

— აქა, მამილო, აქააა!.. აქა მოდი, აქაა. ჩქარა, ჩქარა!.. მალე მალეეე!..

ეს სიტყვები საკმაო იყო ხოლმე, რომ ტასოს დაღონებულ თვალთაგან ცრემლების ნაკადულს გადოეხეთქა და მის გამხთარ, გაყვითლებულ ლოყებს დაყოლოდა.

ტურას, ჯერ სრულიად ნორჩს, არ ესმოდა დედის ლაპარაკი, ის მხოლოდ გაკვირვებით მიაპყრობდა გონიერ თვალებს დედას და უკვირდებოდა მის მოქმედებას, როცა ის ხშირად თავშლის წვეროებით იწმენდდა ცრემლებს თვალებიდან...

რამდენი დრო გადიოდა, რამდენად მეტს ფიქრობდენ სანდროზედ, რამდენად ხშირად იგონებდენ წარსულ ნეტარ დღეებს იმდენად უნუგეშო ხდებოდა ანდრიას, ედუკიას და ტასოს მდგომარეობა. ისინი იწოდენ... დნებოდენ... ოხვრით ათენებდენ ღამეს და კვნესით აღამებდენ დღეს...

უნუგეშო იყო სანდროს მდგომარეობაც. რამდენიმე ათას ვერსზედ მყოფს მის საფიქრებელ და საზრუნავ საგნად ახლა გამხდარიყო თოფი. თოფი, რომელიც ცხრა თვეა რაც ხელში უჭირავს და, სხვა ჯარისკაცებთან ერთად, ვეფხვივით ებრძვის რუსეთის წინააღმდეგ შეიარაღებულ მტერს. ისვრის დღე, ისვრის ღამე, ისვრის დილით, ისვრის საღამოთი. უწინ თუ სახლში ქათამს არ დაკლავდა, უწინ თუ ჩიტს თოფს არ ესროდა,—ახლა თოფი საყვარელ იარაღად გახადა და კაცის კვლა საყვარელ ხელობად.

კი მართალია როცა გულის დამაღონებელი ხმა თოფ-ზარბაზნებისა ცოტა ხნით შეწყდებოდა, როცა დაღლილ დაქანცული სანდრო, სხვა ჯარისკაცებთან ერთად თავისი ხელით ამოთხრილ მიწის ორმოში ჩაიკეცებოდა,—აი ამ დროთი სარგებლობდა და გონებით გადაფრინდებოდა ხოლმე თავის სამშობლო სოფელში, შეფრინდებოდა საყვარელ ოჯახში...

გრძნობით მიიკრავდა გულზე საყვარელ ტასოს... გრძნობით ჩაკბეჩდა საყვარელ ტურას... მიუალერსდა მოხუც დედ-მამას . ემუსაიფებოდა და ანუგეშებდა მათ შემდეგი სიტყვებით;

მოწაფეთა დახმარებით შეაგროვა სამკურნალო მცენარე ძაღლ-ყურძენას ფურცელი 276 მ. და 35 კ. და თესლი 617 მ. 50 კ.

✦ პირველ დაწყებით უმაღლეს სასწავლებლების ინსპექტორად დაინიშნენ: ს. შემოქმედში; (ოზ. მაზრა). ნ. ს. შარაშიძე, ახალ-სენაკში პ. გ. მერეჟკოვსკი, ძველ სენაკში ქუთათელაძე, ბაღდათში ა. გეგეშიძე.

✦ ს. სუფსაში გაიხსნა პირველ დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი.

✦ ხაშურში 30 სექტემბერს, ღამის 12 საათზე თავ. ბაგრატიონ მუხრანსკის მოურავს თავს დაესხნენ შეიარაღებული ავაზაკები და წაართვეს 237 მ. ფული, თოფი ხანჯალი და სხვა.

✦ სასულიერო უწყების ცნობით სამრევლო სკოლების მასწავლებლები, რომელთაც გათავებული აქვთ სასულიერო სემინარია და ითვლებიან სამღვთო სჯულის მასწავლებლათ მიუხედავათ მათი პროფესიისა ჯარში გაწვევისაგან მაინც არ იქნებიან განთავისუფლებულნი.

✦ უკანასკნელ დროს ბაქოშიაც შემოელიათ პური.

✦ ხოლერა. გუშინდელი ცნობით ქალაქის გადამდებ სენიანთა ბარაკში იმყოფებოდა 4 ხოლერიანი, ამათ რიცხვს მიემატა ფერმის ქუჩიდან ბესარიონ ქელიძე. ამ ჟამათ ბარაკში იმყოფება 5 ხოლერიანი.

✦ ქალაქის სანიტრებმა, სანიტარული წესების დარღვევისათვის ქარვასლის ქუჩაზე მცხოვრებთ რამდენიმე ცნობილ ვაჭარს ოქმი შეუდგინეს.

✦ სოფელ პატარა გუბის (ქუთაისის მაზრა) მცხოვრებნი იაკობ კილაძე, ალექსანდრე აბზიანიძე და გორგი სვანიძე შუამდგომლობით მიმართავენ ქუთაისის გუბერნატორს, რომ მათ ნება დართონ გახსნან პატარა გუბში მომხმარებლი საზოგადოება „ნუგეში".

✦ სოფ. ტყაჩირის მცხოვრებნი იოსებ ტყვავაძე, იოსებ ჩხობაძე და ივანე კუხიანიძე ამავე შუამდგომლობით მიმართავენ გუბერნატორს, რომ მათ ნება მეეცეთ გახსნან მომხ. საზ. „საშველება"

✦ როგორც გადმოგვცემენ, ქუთაისის გუბერნიის ზოგიერთ მაზრებში თურმე მძვინვარებს საქონლის ჰირი, რომელიც მუსრს ავლებს ოთხფეხთ.

✦ სამიწათ-მომქმედო სამმართველოს ქუთაისის განყოფილებამ, გასულ დღეებში გაჰყიდა 985 ფუთი „კრუპა" ფუთი 2 მ. და 2 კ.

✦ სოფელ ბანძაში (სენაკის მაზრა) ვიღაც უცნობმა გადასწვა ა. ბ. ფოჩხუა. ზარალი 500 მანეთსზე მეტია.

✦ ახალ სოფელში (რაჭის მაზრა) მეზობლები ჭელიძეები დაერივნენ ვენახში ერთი მეორეს, ერთმა მოჩხუბართაგანმა ხანჯალი ჩაჰკრა მუცელში მეორეს, რომელმაც იქვე დალია სული. მკვლელი მიიმალა.

✦ სოფელ წორეშის (შორაპნის მაზრა) მცხოვრებნი. სიმონ ჭუმბურიძე, ბენედიქტე და იოსებ ორჯონიკიძეები, შუამდგომლობენ ქუთაისის გუბერნატორის წინაშე რომ მათ ნება დართონ გახსნან ხსენებულ სოფელში, მომხმარებელი საზ. „მარიამ-წყარო".

✦ სვირში ღვინის მოსავალი წელს ნაკლები ყოფილა. ასე რომ ბაზარში ღვინო წელს შედარებით ნაკლები იქნება.

✦ სალიტერატურო დილაზე მონაწილეობის მისაღებად ფოთში გაემგზავრენ ი. ნიკოლეიშვილი, ალ. გარსევანიშვილი და ია ეკალაძე.

✦ სამიწათ მომქმედო და სახელმწიფო ქონებათა სამმართველომ დაუთმო ერთი ნაჭერი აგარაკ კვატაფის სახაზინო მიწისა ჰომის შკოლას.

## თფილისი

— სამღვდელოების ყრილობა. გიორგობისთვის მეორე ნახევარში განზრახულია საქართველოს ეპარქიის სამღვდელოების ყრილობა. ამის გამო ამ დღეებში კრება ჰქონდა ყრილობის წინასწარ მომწყობ კომიტეტის წევრებს. კრებაზე დაადგინეს, მისწერონ სამღვდელოების კეთილ მოწესრიგეთ, რომ აირჩიონ საგანგებო კრებებზე რწმუნებულები ამ ყრილობისათვის.

— ქართველ ხელოვანთა საზოგადოების წევრი ბ-ნი შევარდენაძე სოფ. ნაბახტევიდან თბილისს ჩამოვდა და თან ჩამოიტანა 19 ფრესკი, რომელნიც წასულ ზაფხულზე ქართველმა მხატრებმა გადაიღეს ძველი ეკლესიის კედლებიდან.

— სკოლების რევიზია. ქართულ საქველ მოქმედო საზოგადოების მთავარმა გამგეობამ დაადგინა გაგზავნოს სამაჰმადიანო საქართველოში დ. გ. კარიჭაშვილი საზოგადოების სკოლების სარევიზიოდ.

— ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მთავარ გამგეობის სხდომას 6 ამა თვეს დაესწრო სათათბიროს დეპუტატი აკაკი ჩხენკელი და ბევრი ცნობანი წარუდგინა ომიანობისაგან დაზარალებულთა შესახებ დასავლეთ საქართველოში. ბ-ნი ჩხენკელი მიემგზავრება ყარსში, საიდანაც შემდეგ წავა არადგან-არდანუჯ-ართვინის მხარეს. მასთან ერთად მიემგზავრება მდივანი ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებისა პ საყვარელიძე, რომელსაც დავალებული აქვს ცნობები შეკრიბოს ომისაგან დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანთა შესახებ.

## მეურნეთა საყურადღებოთ.

კავკასიის სამხედრო უწყების უფროსის სავალდებულო განკარგულების თანახმათ, რომელიც გამოიცა ამ წლის 10 სექტემბერს, აბუსალათინის სრული რეკვიზიცია გამოცხადებული, ვინაიდგან იგი, როგორც მასალა საფალარათო ზეთისა, საჭიროა ჯარისთვის. ამის გამო მთელი მომავალი იმ თესლისა, რომელიც მთავრობის აგრონომმა გაზაფხულზე დაარიგა, უნდა გადაეცეს სამკურნალო მცენარეების ორგანიზაციას ქუთაისის გუბერნიაში (ქუთაისი, სააბრეშუმო სადგური ბალის ქუჩა) ფუთი ექვს მანეთად. გვიან დათესვა და უამინდობა აბრკოლებს გუბერნიაში აბუსალათინის რთველს, რითაც ალბათ, უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ ხსენებულ ორგანიზაციას აბუსალათინის თესლი მეტათ დუნეთ მოდის. როგორც გამოირკვა, მთესველთა უმრავლესობა აბუსალათინის თესვა მოყვანის საქმეს კარკარგათ არ იცნობს, ამიტომ თავს ნებას ვაძლევთ და მივაქცევთ იმათ ყურადღებას აბუსალათინის თავის დროზე მოწევის საჭიროებაზე. დროზე მოუწევლობა—აკრეფა გამოიწვევს შემოსავლის უმეტეს ნაწილის დაკარგვას. საჭიროა მთესველებმა თავის დროზე მოკვეცონ თესლის მტევნები, სანამ ნაყოფის პაწია ვაშლები (ბურთები) არ დამსკდარა და თესლი არ დაკარგულა. ამ ბურთებს სიმწიფე ფერის გამოცვლით შეეტყობა. ხოლო რადგან ყველა ბურთი ერთსა და იმავე დროს არ მწიფდება, საჭიროა მათი თავ-თავის დროზე მოკვეცა და ასეთი მოკვეცილი მტევნები უნდა მზეზე გაიფინოს გასახმობათ როცა ეს ბურთები სკდება და თესლი ირჩევა.

სამკურნალო მცენარეების ორგანიზაციის გამგე იოსებ ქუთათელაძე.

## თავის ქებაც ასეთი უნდა!

„ჩვენი მეგობრის" დაარსებიდან ერთი წლის შესრულების გამო, მისი თანამშრომელი ბ-ნ ნარ ქანი ასეთი ნოტებით უმასპინძლდება „თავის" მკითხველებს:

„პირველ ოქტომბერს შესრულდა ერთი წელიწადი რაც „ჩვენი მეგობარი" არსებობს. ამ მცირე ხნის განმავლობაში მან დიდი ყურადღება დაიმსახურა ჩვენი ერის დემოკრატიაში. გულწრფელი დარაჯი ქართველ მშრომელი ხალხისა, იგი ელვასავით ეკვეთებოდა ხოლმე ყველა მას, ვინც უხეშად გათელვას მოუნდომებდა ამ ხალხის ინტერესებს. მართალია, ჩვენში დამყარებული მდგომარეობა პირველ ხანებში განსაცდელში აყენებდა ნორჩ გაზეთს, მაგრამ მან ეს დაბრკოლება გადალახა და გაასკეცებული ენერგიით მიმოაბნია ბურუსი. თავისი სხივმოსილი ძლიერება სტყორცნა კოლხიდის მივარდნილ სოფლებს, იქ აალაპარაკა ეროვნული გრძნობა, განავითარა ეროვნული იდეალი და დაფარული ძალები ეროვნული შემოქმედებისა გამოსამზეურებლად მოამზადა. ერთი წელიწადია, რაც იგი სდარაჯობს მშრომელ გლეხობას, აწვდის მას შესაფერ ცნობებს და სცდილობს განამტკიცოს მათ არსებაში ძმობისა და სოლიდარობის პრინციპი. რასაკვირველია, ხალხოსნურ გზის განმშვენიერებულს ეროვნულ-სოციალისტური იდეებით, რომელსაც გამოსვლიდან დღემდე უცვლელად ადგია „ჩვენი მეგობარი" ეკვეთენ ჩვენი ქვეყნის, როგორც მარჯვენა ისე მარცხენა ნაწილები, მაგრამ მას ოდნავადაც ვერ გადაახვევინეს იმ გზიდან, რომლის განვლის შემდეგაც ჩვენს ქვეყანას ალმოუბრწყინდება თავისი შუქურ-ვარსკვლავი"-ო.

თუ არ გყავდეს მოახლეო, თავი მოიმოახლეო. ტყვილად არ უთქვამს ჩვენ ხალხს. მახლას!

* *
*

ტანჯვით ვიშვი და ტანჯვაში
ჯარ გამოწრთვნილ-გამოზრდილი
თვით ოცნებაც ჩემი არის
მწუხარების ნორჩი შვილი!

—

ტანჯვის ცეცხლმა ჩემსა მუზას
ფრთა შეაწვა, გაადგიძა,
ტანჯვა არის მისი მხსნელი,
ტანჯვა არის მისი ძიძა.!

—

ცხოვრების გზა ტანჯვით ვშოვე
შევითვისე მასზე გავლა
ტანჯვამ ჩემს სულს ლექსის წერა
შეაყვარა, დაასწავლა.!

—

მაგრამ ხან კი ჩემი მუზაც
მზის ტალღებში ფრინავს, სტვრავს,
იმ დროს ტანჯვით მოშორებულ,
სიხარულის ნექტარს სწურავს!

—

შემდეგ ისევ თვის მეგობარს
უბრუნდება, მას უმღერის,
სწავლობს მისგან და ტანჯვითვე
სიხარულის ლექსებს მღერის.

—

ტანჯვა უფრო ბძრენი არის;
მიადევნებს ხედვას, სმენას,
ტანჯვით ვქმნი თვით სიხარულს
ტანჯვით ვქმნი იმედს, რწმენას!

—

ტანჯვის ცეცხლმა ჩემსა მუზას
ფრთა შეაწვა, გაადგიძა
ტანჯვა არის მისი მხსნელი
ტანჯვა არის მისი ძიძა.

—

საფო მგელაძე

## ქართული საქველმოქმედო საზოგადოება.

ამ დღეებში გაიმართება ქართული საქველმოქმედო საზოგადოების წევრთა წლიური კრება, რომელმაც, სხვათა შორის, უნდა განიხილოს ამ მნიშვნელოვან საზოგადოების მოქმედების ანგარიში 1915 წლის განმავლობაში.

მოგვყავს საგულისხმო ცნობები საზოგადოების მოქმედების წლიური ანგარიშიდან:

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადოების დღევანდელი გამგეობა არჩეულ იქმნა 1914 წლის 21 დეკემბერს.

ეს ის დრო იყო, როდესაც დღევანდელი საერთაშორისო ომის ტალღები საშინელი სიძლიერით მოასკდა ჩვენს ქვეყანას. განსაკუთრებით უბედურება დაატყდა თავზე საქართველოს განაპირა კუთხეებს ოსმალეთის საზღვრით. მთელი სამაჰმადიანო საქართველო და კერძოდ აჭარა, შავშეთ- იმერხევი, კლარჯეთი (საერთოდ ბათომის ოლქი) ომის ასპარეზად გადაიქცა. ქვეყანა აოხრდა. ხალხის სახლკარი სარჩო-საბადებელი, მისი ოფლისღვრით შექმნილი სიმდიდრე ცეცხლმა შთანთქა. ომის გახელებული სტიქონი ანადგურებდა ყოველივეს. თავზარდაცემული ხალხი იქით-აქეთ იფანტებოდა. მრავალი იძულებული შეიქმნა დაკარგულიყო, მშიერ-მწყურვალი და შიშველ-ტიტველი. მრავალიც გაწყდა. ვინც გადარჩა, სახელდობრ აჭარასა და შავშეთში, საშინელ გაჭირვებასა და შიშს განიცდიდა. ტყვიაწამლის კვამლი ჯერ კიდევ არ დაფანტულიყო.

ქართველ ხალხს თავი უნდა გამოედვა განადგურებულ თანამოძმეთა გადასარჩენად. საჭირო იყო საჩქარო ნივთიერი დახმარება ვინც დარჩა იმათ მისაშველებლად. მდგომარეობა თხოულობდა მათთვის დაუყონებლივ ხელის გაწოდებას, საჭირო იყო თბილი გრძნობების ალაპარაკება და ძმური სიტყვის მტკიცედ თქმა ობლად დარჩენილ აჭარელთა გასამხნევებლად და წელში გასამართავად. მაგრამ ამას აბრკოლებდა ორნაირი გარემოება: გარეგანი და შინაური.

ისინი „მოღალატეობის" სუდარაში გახვიეს და მით მოინდომეს თანამოძმეებისთვის გზის შეკვრა ზნეობრივი და ნივთიერი დახმარების საქმეში. ამასთან საზოგადოების ზოგიერთ წრეებში ერთგვარი შიში და რყევა ბატონობდა, რაიცა აფერხებდა საზოგადოებრივ გამოსვლას და ორგანიზაციულ შეკავშირებას ქართველ მაჰმადიანთა დახმარებისათვის. ეს მეტათ მძიმე და საპასუხისმგებლო მომენტი იყო, მაგრამ საზოგადოების მოწინავე ელემენტებმა და ქართულმა პრესამ აჭარელთა საკითხისადმი საყოველთაო ყურადღება გამოიწვია და მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად სამოქმედოდ მოითხოვა ხალხის ცოცხალი ძალები. აი ამ დროს ხვდა წილად ახალ გამგეობას მუშაობის დაწყება. გარდა განადგურებული აჭარისა მეტად შევიწროებული იყო მთელი საქართველო, დამშეული და ომისაგან არაქათ-გამოლეული.

---

— ნუ გეშინიათ, მშობლებო, არ მოკვდეთ, ეძალეთ, ეძალეთ თავს. ბევრი აღარ გვიკლია გამარჯვებას. მეც მალე დავბრუნდები... ძველებურად დავტრიალდები ოჯახში და გაიხარებთ.

— შენ როგორ ხარ, ტასო? გამხდარხარ. არ გრცხვენია?! ეგ არის შენი აღთქმა — ჩვენ... არაფერი გვიშავს, შენ არ იჯავრო.

თუ გიყვარდე ნუ უღალატებ შენ სიტყვებს. გამხნევდი, გაამხნევე დედ მამა, გაზარდე ტური... ნუ გეშინია, ომი მალე გათავდება. დავბრუნდები და ბედნიერად ვიცხოვრებთ!.

— ერთი კიდევ ჩამეხუტე გულში, ტურიკო. აგრე, მამა, აგრე... ო შენი ჭირიმე!... რამხელა კაცი გაზდილხარ.. გაიზარდე გენაცვალე, გაიზარდე.. იყავი დედის ნუგეში.

ერთი კიდევ მაკოცე... მოდი ახლა მე გაკოცებ. ახლა შენ... ახლა მე... ახლა შენ... ახლა მე...

ასეთი ფიქრებით სტკბებოდა სანდრო როცა თავისუფალ წამს ნახავდა...

ტრრრრ... ტრრრრ... საკმაო იყო ტყვიის-მფრქვეველის ეს სულის შემაწუხებელი ხმა, რომ სანდროს შეეწყვიტა გონებით ალერსი საყვარელ ადამიანებთან. ის გაფითრებული წამოვარდებოდა ზეზე, უბეზე ხელს მოისვამდა, საყვარელ განძს—სამშობლო ქვეყნის მიწას ხელს მოუჭერდა, თოფს მოიმარჯვებდა და დაიწყებდა სროლას. . ისვროდენ და ისვროდა სანდროც...

გორკი.

(დასასრული იქნება).

## თ ა დ ა.

### (ეტიუდი)

მოხუცებული თადა, უზომო მწუხარებით დაწყლულებული თავის ქოხში იჯდა და სინათლე მილეული თვალებიდან, სანთელივით ჩამოყვითლებულ სახეზე ობოლ-ობოლი ცრემლები ეწვეთებოდა.

— ოოჰ, ოოოჰ! შვილო!—საცოდავათ ამოიოხრა მან და ჩაჰკიდა თავი.

მოხუცებული თადას ტანის თრთოლვა, მგლოვიარების სიმწვავის უსაზღვრობას მოწმობდენ. ის მთელ დღე და ღამეებს ჩუმსა და უსაყვედუროო მწუხარებაში ატარებდა.

მას, რამოდენიმე ხნის წინათ მამასახლისმა აცნობა; რომ შენი შვილი ომში დაუჭრიათ და დაავადებული შინ გამოუშვიათ და ამ ცოტახანში კიდეც ნახავო.

თადას შვილის დაბრუნება უხაროდა და მოუთმენლათ ელოდებოდა, მაგრამ ბედის ტრიალმა როდი ინება მოხუცებულის გახარება.

თადას ვაჟი მგზავრობის დროს გაცივდა და გზაში კიდევაც გადაიცვლა ეს ამბავი დღეს აცნობეს თადას და ამ მოულოდნელმა ამბავმა ისედაც მისუსტებულ მოხუცებულზე საშინლათ იმოქმედა.

მან ჯავრი გულში ჩაიკლა, მეტად შეწუხებულს სასმელ საჭმელის მადა დაეკარგა და გლოვით შეპყრობილი არავის ესაუბრებოდა.

ის მთელი დღის განმავლობაში ერთს ალაგს იყო და თუ ვინმე მადლიერი მეზობელი არ მიაკითხავდა და სასმელ-საჭმელს არ მიაწვდიდა, თვითონ არც კი გაიფიქრებდა მასზე.

იგი, თავისთვის ბუტბუტებდა და თითქმის ჩუმ გიჟს გავდა რომელიც არც არავის აწუხებს და არც არავის ახარებს.

ასეთი მწუხარებით აღჭურვილმა თადამ მოისურვა შვილისაგან მოწერილი წერილების გადათვალიერება.

მან კედელზე ჩამოკიდებული ჩანთა ჩამოხსნა და მთელი რიგი შეკრული ქაღალდებისა ამოიღო,. მათში ერთი ამოირჩია და მინვდრო გამოვიდათ ვიდა ხის ძირში სკამზე ჩამოჯდა, წერილი ხელში დაიჭირა.

თადამ წერა კითხვა არ იცოდა, მაგრამ მას, სხვის მიერ წანაკითხავი მისი შვილის წერილების შინაარსი ახსოვდა.

და გულს მაზე აყოლებდა.

მან დაიწყო წერილის თვალიერება. მოაგონდა მოწერილი სიტყვები საყვარელო მამა, პირველად მოგიკითხავ... „შენ გენაცვალე ნურაფერს იჯავრებ, დამშვიდდი როგორმე... მე უკვე სამჯერ ვიყავი ომში და ჩემს გარშემო სულ მკვდრებს ვხედავდი. . დაჭრილები ვინ დედას, ვინ მამას, ვინ ქალოს, ვინ შვილოს გაიძახოდენ... მამა, ნუ დამწუხრდები შენ შემოგევლე!!..

ზარების რეკა მოისმა. თადა თითქოს შეკრთა, თავი მაღლა ასწია შეჰკივლა:

— შვილო! შვილოო! და წერილი გულში ჩაიკრა. ეს ძახილი გლოვის ზარივით მოეფინა არემარეს და რა შემოესმათ მეზობლებს ფეხ აკრეფით მიუახლოვდნენ.

თადა ისევ თავის ალაგზე იჯდა და ისევ წერილის შინაარსი აგონდებოდა:

„მამა, ხვალ ატაკაში მივდივართ. დღეს ძალ ღონეს ვიკრიბავთ. ვინ იცის რა მოხდება?!

„ნუ გეშინია, მამა, ასეთ ატაკას თუმცა თან მიაქვს სიცოცხლე და სიყვარული, მაგრამ გადარჩენაც შეიძლება."

— ოოოჰ!—სულის ღმლვა მოძრაობით მოხუცებულმა გულის სიღმიდან ამოიგმინვა და მიაშტერა თვალები სივრცეს.

მეზობლები სასოწარკვეთილებით შესცქეროდენ მოხუცს და არ იცოდენ თუ რა ექნათ, რით ენუგეშებინათ იგი.

თადას კი ისევ შვილის მოწერილი აგონდებოდა:

..... მამა, თვალები რომ დავჭყიტე სად ვიყავი არ ვიცოდი. საღამო ჟამი უნდა ყოფილიყო, რადგან ხშირ ბინდის საწუქთროსათვის შავი ზეწარი ჯერ კიდევ არ ჩამოეფარებინა. ცას მივსცქეროდი, მასზე ორი მბჟუტავი ვარსკვლავი შევამჩნიე, სულმა შვება იგრძნო.

„ტკივილები საშინლათ მაწუხებდენ. ტულაპოში ვეგდე, მგონი სისხლის მორევი უნდა ყოფილიყო. ვიღაც ჩემს სიახლოვეს გაიძახოდა: „გამიშვით! გამიშვით!"

„ნეტავ სად მიდიოდა?!

მიშველე დედავ! ამოიკვნესა ჩემს გვერდით მეორემ. უცებ თავზე ზარბაზნის ტყვიამ ზუზუნით გადაიარა და მე შეშინებულივით, თვალებ ამღვრეული მას მივაცქერდი და ღონე მიხდილმა მეც დავიძახე:

მამა, მიშველე. !

ამ უკანასკნელ სიტყვების მოგონებაზე თადამ განწირულებით შესძახა:

— შვილო მოვდივარ მოვდივარ!.. ზეზე წამოხტა და გაიქცა.

ის ეზოდან გადავიდა და გზა აბნეულმა კლდეს მიაშურა, თხემზე აიწია, უცებ შეჩერდა, ერთი კიდევ შეჰკივლა:

— შვილო, მოვდივარ, მოვდივარ!.. და ნაპრალში გადაეჩეხა.

მეზობლებმა ვერც კი მოასწრეს გონს მოსვლა ისე უეცრად მოხდა ეს.

ნაპრალის ძირს დანჯღლეულიდა სისხლში ამოსვრილი თადას უსულო გვამი მონახეს და შინ წამოასვენეს.

ვასო ჭითავა.

## აჭარელთა საკითხი.

აჭარლების ანუ უკეთ ვთქვათ ბათომის ოლქის ქართველ მაჰმადიანთა უნუგეშო მდგომარეობა საშინელის სინამდვილით აღიმართა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების წინაშე. აოხრებულ და მოღალატის სახელით მონათლულ ხალხისთვის საჭირო იყო ორნაირი დახმარება: ნივთიერი და მორალური.

უპირველესად საქველმოქმედო საზოგადოებას უნდა ეზრუნა აჭარლების ფიზიკურ არსებობისთვის მთელს აჭარაში სიმშილი მძვინვარებდა და ხალხისთვის საზრდო იყო საჭირო. საშუალება საზოგადოებას არა გააჩნდა. მრავალი დაბრკოლება მაინც დაძლეულ იქმნა და შეწირულების ორგანიზაცია მოეწყო. ამასთანავე დაზარალებულთა საქმის გაძღოლის გასაადვილებლად დაარსდა განყოფილება ქუთაისსა და ბათომში. მუშაობა ნელ ნელა გაჩაღდა.

პრესისა და საგანგებოდ გაგზავნილ კაცების მოხსენებიდან გამოირკვა, რომ აჭარელთ აღარა გააჩნდათ რა. საჭირო იყო გაგზავნა საზრდოსი, ტანისამოსისა, საქონლისა, სათესლისა, სამეურნეო იარაღ-მანქანისა, აღდგენა სახლ კარისა და სხვა. ყველა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საზოგადოებას ძალა არ შესწევდა. აჭარისა და მაჰახელაში გაეგზავნა მხოლოდ 11 ვაგონი სიმინდი. საზოგადოების შესვლამ აჭარაში და იქ მოქმედების დაწყებამ გამოიწვია მთავრობის წრეებისა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციების ყურადღება ომისაგან დაზარალებულ აჭარლებისადმი. ად მინისტრაციამ დაუწყო დახმარების აღმოჩენა დამშეულებს სიმინდით და ფულის დარიგებით. ბათომის საოლქო კომიტეტმა, რომელშიაც მხურვალე მონაწილეობას იღებენ ქ. შ საზ. ბათომის განყოფილების წევრები, გააცხოველა და გააფართოვა თავისი მოქმედება. საეროპო კავშირმა უფრო საექიმო დახმარების აღმოჩენას მიაქცია გასაკუთრებული ყურადღება, მაგრამ ზოგიერთ ადგილში სურსათის მიწოდებასაც კისრულობდა. მაჰმადიანთა საქ. მოქმედო საზოგადოებამაც აღმოუჩინა ომისაგან დაზარალებულ ქართველ მაჰმადიანებს დახმარება. შემდეგ მოვიდა ქალაქთა კავშირი... ამნაირად ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას უკან გაყვა აჭარაში მთელი წყება საზოგადოებრივ ორგანიზციებისა, რამაც ერთობ გააფართოვა და გაალრმავა ცოცხლად გადარჩენილ, ღვთის ანაბრად მიტოვებულ აჭარლების დახმარების საქმე. თაოსნობა და ხელმძღვანელი როლი ეკუთვნოდა ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას, რომელსაც უფრო მეტის საქმის გაკეთება შეეძლო, მგალითად შეტანა საზრდოსი აჭარაში, მაგრამ რკინის გზის მოუწესრიგებლობა და ფორმალური ადმინისტრატიული დაბრკოლებანი ხელს უშლიდა.

აჭარაში მიტანილ სიმინდის გასანაწილებლად სოფლებში დაარსდა სასოფლო კომისიები, თვით სოფლელთა მიერ არჩეული, ხოლო ხულოსა და ქედაში შედგენილ იქმნა მთავარი საუბნო სასურსათო კომისიები, რომელნიც სურსათის განაწილებას თვალ-ყურს ადევნებდნენ და ხელმძღვანელობდნენ. სიმინდს ხალხი დიდის სიამოვნებით იღებდა და ამ მოვლენაში ხედავდა სულიერს დაკმაყოფილებასაც.

შავშეთ იმერხევში, სადაც სიმინდს არ ეტანებიან და პურით იკვებებიან, საზოგადოებამ რწმუნებულთა ხელით ფული დაარიგა, რადგანაც იქაურ მცხოვრებთ მიღებულ ცნობების თანახმად პურის ყიდვა არტანიისა და ყარსის ოლქში ეადვილებოდათ.

ხალხს საზოგადოება ამას გარდა აწოდებდა შეძლებისდაგვარათ მარილს, საპონს, ნავთს და სხვა უსაჭიროეს საგნებს. დაურიგა აგრეთვე თბილი ტანისამოსი და საცვლები, ფულადაც ეხმარებოდა გაჭირვებულ ოჯახებს.

საზოგადოებამ აგრეთვე ყურადღება მიაქცია სამეურნეო იარაღების საჭიროებას, მაგრამ სამწუხაროდ ამ დარიგში თავისი მოქმედება ფართოდ ვერ განავითარა ნივთიერ ხელმოკლეობის გამო. ის კი მოახერხა, რომ ხალხს დაურიგა თოხები, ნაჯახი წალდები და სხვა.

საზოგადოებასთან დაარსდა საექიმო კომისიაც სიმშილ სიცივისა და სხვა უბედურებით გამოწვეულ ავათმყოფობათა წინაღმდეგ ღონისძიებათა მისაღებად ხულოში დაარსდა საექიმო პუნქტი და კიდეც არსებობდა დრომდე, სანამ იქ ქალაქების კავშირმა საავადმყოფო არ გახსნა.

არც იურიდიული დახმარება მოუკლია საზოგადოებას აჭარლებისათვის, მკითხველთ ეხსომებათ აჭარელთა პროცესები რომლის დროსაც აჭარელთა დამცველებად გამოდიოდნენ ტფილისისა, ქუთაისისა და ბათომის ქართველი ვექილები. ზოგში თვითეულ პროცესში თვეობით უხდებოდათ მონაწილეობა. ქართველმა მაჰმადიანებმა აქ უფრო ნათლად იგრძნეს, თუ როგორის ძმურის და გულწრფელის თანაგრძნობით ეპყრობოდნენ მათ ქრისტიანი თანამოძმენი.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ საანგარიშო (1915 წელს) საზოგადოებამ დაბეჭდა ქართული რუსული გაზეთ-ალმანახი „ძმური სიტყვა“ და გამოსცა, ა. წულაძის წიგნი „ძმური სიტყვა ქართველ მუსულმანებს“, რომლის შემოსავალიც ქართველ მაჰმადიანთა საჭიროებას მოხმარდა.

საანგარიშო წელს საზოგადოებამ, ყურადღება მიაქცია აგრეთვე დამშეულთა მდგომარეობას, წყალდიდობისაგან დაზარალებულთ, შემოხიზნულთ და ომისაგან დაზარალებულთ დაბევრს სხვა მხარეს ქართველთა გაჭირვებულ ცხოვრებისას მაგრამ ამაზე შემდეგ.

## პროვინციის ცხოვრება.

**საჭამიას სერი.** (ზემო გურია.) საჭამიას სერი არც ერთ სოფელს არ ჩამოუვარდება კულტურული დაწესებულებით ზემო გურიაში. აქ არსებობს ორ კლასიანი სასწავლებელი, რომელიც გადაკეთებულია უმაღლეს პირველდაწყებითი სასწავლებლათ, ერთი წელი არის მას შემდეგ რაც საჭამაიას სერზე გახსნეს საზოგადო „კოოპერატიული დუქანი ხუთი, ექვსი წელიწადია დაარსეს ბანკი და უფასო წიგნსაცავ სამკითხველო.

სამოსწავლო წლის ერთი თვე უკვე გავიდა და სკოლის კარები ჯერ არ გაღებულა. ხუთ ექვს მასწავლებლებში, მხოლოდ ორი გამოცხადდენ. დანარჩენების მნახველი ჯერ არავის უნახავს დროა ზედამხედველმა ამ სერიოზულ საქმეს ჯეროვან ყურადღება მიაქციოს.

რაც შეეხება საზოგადო დუქანს ამაზედაც მტკივა გული ჯერ დუქანი ისე გაძლიერებული არ არის, რომ ერთმა ან ორმა საშვალო ფასიანმა ნოქარმა ვერ მოუაროს. ამავე დროს გამგეობამ დაიქირავა ორი ნოქარი და ერთი მეფურნე. ერთი ნოქარი იღებს 600 მან. მეორე კი 400 მან., მეფურნე ცალი ფქვილის გამოცხობაში განსაზღვრულ ფასს.

გამგეობას ვურჩევ სერიოზულათ მოეპყროს და ანგარიში გაუწიოს დუქნის ავლა დიდებას თორემ თუ დუქნის შემოსავალი მარტო ნოქრების ჯამაგირს მოუნდა, შეიძლება ვერც დააკმაყოფილოს საზოგადოება დარჩება ხახა მშრალი.

ა. ობოლი.

## რუსეთი.

ვლადივასტოკიდან იტყობინებიან, სოფ. ბოგუსლავსკის შეიარაღებული ხუნხუზები დასცემიან თავს. ადგილობრივ მცხოვრებ რუსებს ჯარის შემწეობით ხუნხუზები განუდევნიათ. ბოლო დროს ხუნხუზები მალმალ აწუხებდენ მოსაზღვრე რუსებს.

— —

ფინლიანდიის საიმპერატორო სენატმა დაადგინა სამოქალაქო ჯვრის წერა დააკანონოს.

— —

— —

სამხრეთ რუსეთის რკინის გზებზე გამოცადეს ამერიკული ახალი ტიპის ორთქლმავლები. ამ ორთქლ მავალს ხუთჯერ მეტის ზიდვა შეუძლია, ვიდრე ჩვეულებრივ ორთქლმავალს.

## უცხოეთი.

ინგლისის ქვედა პალატაში რედმონდმა განაცხადა რომ ირლანდიამ 157 ათასი ჯარის კაცი მოგვცა და დროა ავტონომია მივსცეთ მასო. ირლანდიის სტატსეკრეტარმა უპასუხა: ამასწინად მომხდარი დუბლინის ამბოხება გვარწმუნებს, რომ სახიფათო იქმნებოდა ირლანდიის დამოკიდებულებანი.

— —

შვეციაში ოსმალეთს განსაკუთრებული სამხედრო აგენტი გაუგზავნია. ამ თანამდებობაზე ათინის ელჩად ნამყოფი ბუსტარ შეი დაუნიშნავთ.

— —

ახლო მომავალში სომეხთა ეპისკოპოსი თორგომი მიემგზავრება აბაშეთში, ინდოეთში და კუნძულ იავაზე. მისი მიზანია შემოწირულებათა შეკრება სომხების სასარგებლოდ.

— —

სომხების კათალიკოს დალოცვის ბარათი გაუგზავნია ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტისთვის. კათალიკოსი მადლობას უთვლის მას იმ დახმარებისთვის რომელიც მან სომხებს აღმოუჩინა.

— —

გერანელებს დაუდგენიათ ბოსფორის სრუტეს ქვეშ გვირაბის გაყვანა. ამის საჭიროება იმაში გამოიხატება, რომ ბე ბერლინ-ბაღდადის შუა რკინიგზით მიმოსვლა შეუწყვეტელი იყოს.

— —

გერმანიის მთავრობას საგაზეთო პროპაგანდაზე 200 მილ. მარკა დაუხარჯავს.

— —

— —

ტასნის პროკურორს შუამდგომლობა აღუძრავს ლიბკნეხტის გასამართლება მეორეთ დაენიშნათ. წინადება ამის შესახებ რეიხსტაგმა უარჰყო.

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით პასუხი გავსცე ამაღლების საზოგადოების „გლეხს“, რომელმაც გაზ. „მეგობრის“ 127 ნუმერში მოათავსა ჩემ წინააღმდეგ ყალბი და სიმართლეს მოკლებული წერილი ამ წელში მთავრობის მიერ მოცემული სიმინდის სესხის სიების შედგენის შესახებ: სათანადო მთავრობის განკარგულებით წარსული წლის დეკემბერში სოფლის მოხელეებს უნდა შეედგინათ სიები იმ მოსახლეთა, რომელთაც სურდათ მიეღოთ სიმინდი სესხად, რისთვისაც თან გამოგზავნილი იყო დარიგება, თუ როგორ უნდა შედგენილიყო ასეთი სიები და რა ცნობები უნდა ჩაწერილიყო შიგ. როგორც სხვაგან, ისე ჩვენს საზოგადოებაშიც ამის თაობაზე მოხდა ერილობა, რომელზედაც მე ჩემის მხრით, როგორც იმ დროს ამ საზოგადოების კანცელარიის საქმის მწარმოებელმა, ყოველივე დაწვრილებით აუხსენი და გავაგებინე ხალხს, თან წინადადება მივეცი მათ განაჩენით აერჩიათ კომისია ოთხი კაცისაგან და მიენდოთ მათთვის. კომისიაში აირჩიეს ბ. შულდაძე, არ. ხარაბაძე, ს. კანდელაკი და ბ. ტყეშელაშვილი, რომლებიც თავის დროზე შეუდგენ სიების შედგენას თავ თავიანთ უბანში; რათა შეცდომა არ მოსვლოდათ, ამათ ჯერ სიები შეადგინეს ქართულად და შემდეგ ერთმა მათგანმა, სახელდობრ ა. ხარაბაძემ გადაწერა რუსულად. ამ გვარად სიების შედგენაში მე არავითარი მონაწილეობა არ მიმიღია და არც მიკარნახებია მათთვის, თუ ვინ ჩაეწერათ სიაში და ვინ არა. რამოდენიმე ხნის შემდეგ, როგორც საყოველთაოდ სხვა სოფლებს, ისე ამაღლების საზოგადოებასაც დაუბრუნეს სიები დამატებითი ცნობების შესატანად და შესასწორებლად, რაც შესრულებულ იქნა თავის დროზე და გადაწერა ხელმეორედ დაიკალავანის საზოგადოების ყოფილმა მწერალმა სიმ. მხეცაძემ; ამით გათავდა საქმე. მიუხედავათ იმისა, რომ ეს ყოველივე კარგად მოეხსენება „გლეხს“, ის მაინც რაღაც პირადი ანგარიშების გამო სცდილობს ჩემი სახელის დამცირებას, მახსენებს უადგილოდ და ცილს მწამებს. ამის გამო წინადადებას ვაძლევ ბ. „გლეხს“ მოიყვანოს თავისი მხრით ორი გაგებული კაცი ამაღლების საზოგადოების კანცელარიაში და გადაათვალიეროს ის საქმეები, რომლებიც სიმინდის სესხის შესახებ ნაწარმოებია და უკეთუ მე დამნაშავე არავითარში არ აღმოვჩნდე, და არც სიები იქნეს ყალბად შედგენილი, იმ შემთხვევაში ბოდიში მოიხადოს, როგორც ჩემს, ისე კომისიის წევრთა წინაშე ცილის წამებისათვის. ჩემის მხრით მე ვნიშნავ საქმის გასასინჯავად ამაღლების უმაღლესი დაწყებითი სასწავლებლის გამგეს ბ. კორ. ჯუღელს და მასწავლებელს მღვდელს სიმონ მჭედლიძეს. ბ. „გლეხს“ ვაძლევ ვაძლევ ერთ კვირას და თუ ასე არ მოიქცევა, მაშინ მე უფლებას ვიტოვებ ვუწოდო თვითონ მას ცილის მწამებელი და ყალბი ცნობების მიმწოდებელი.

გალაქტიონ საკანდელიძე.

## ანგარიში.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „სამშობლოში“ მოათავსოთ ანგარიში; შემოსავალ-გასავლისა საქველმოქმედო სადამოსი, რომელიც იყო გამართული დ. საჩხერეში ქუთაისის სათავად-აზნაურო კომიტეტის ქალთა წრისაგან თავის საშუალების გასაძლიერებლად.

უღრმეს მადლობას უცხადებთ შემდეგ პირებს: მხატვარ ბ. პუშკინს, ქართულ სცენების მკითხველს ბ. ნუცუბიძეს.

აგრეთვე უღრმეს მადლობას ვწირავთ იმ პირთ, რომელთაც ამ კეთილ საქმისათვის თავის წვლილით და ნივთიერი დახმარებით ქალთა წრეს ხელი მოუმართა.

მოგვყავს სია იმ პირებისაც:

შემოსწირეს: ოლღა სვანიშვილისამ—50 მ. კნ. ელისაბედ წერეთლისამ—3 მ. ანნა აბდუშელიშვილისამ—3 მ. კნ. დიმიტრი წერეთელმა—3 მ. კნ. აგრაფინა აბაშიძისამ—5 მ. კნ. გიგა წერეთელმა—5 მ. კნ. შალვა წერეთელმა—5 მ. დოქტორ სიმონ ჯაოშვარიძემ—5 მ. მიხეილ მაჭავარიანმა—10 მ. კნ. ალექსანდრე წერეთელმა—5 მ.

ჯამი 94 მ.

ბილეთებისა—159 მ 30 კ. ვახშამისა—120 მ. ბანქო—68 მ. ნათამაში ბანქო—4 მ. 80 კ. ჩაი—15 მ. პაპიროსი და სპიჩკა—15 მ. კანფეტი—10 მ. შეკოლადი—54 მ. ღუხი—22 მ.

ჯამი 468 მ 10 კ.
+ 94

ჯამი 562 მ. 10 კ.

**გასავალი.**

ავიშების—3 მ. 10 კაპ მარკები—5 მ. ქუთაისში გამგზავნს—3 მ. ქაღალდი და კონვერტები—1 მ. 40 კ. ხორცეულობა—24 მ. 60 კ. მასალა—8 მ. 94 კ. შეკოლადი—27 მ. კანფეტები—6 მ. ღუხი—10 მ. ხელსახოცები ქაღალდის—2 მ. 60 კ. შაქარი—1 მ. 25 კ. თეატრის ფარდა—18 მ. 50 კ. ბანქო—14 მ. ღვინო—25 მ. ლორი—4 მ. 18 კ. ყურძენი—4 მ. ნესვი—3 მ. ლიმონათი—8 მ. 50 კ. მეზურნეების სადილი - 5 მ. 50 კ. სზიჭა—1 მ. [illegible] კ. მოსამსახურეებს—11 მ. [illegible] მეზურნეებს—35 მ. [illegible] განათება—12 მ. [illegible] პირობა—6 მ. 32 კ.

ჯამი 264 მ. 74 კ.

562 მ. 10 კ.
—264 მ. 74 კ.

297 მ 36 კ. სრული შემოსავალი.

სათავად აზნაურო კომიტეტის ქალთა წრის თავმჯდომარე კნეინა **ნინა წერეთელი.**

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხან. **„სამშობლო“**




**რკინის გზის მიმოსვლა.**
(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | დილის | 7 ს. 25 | წ. |
| „ | საღამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | დღისით | 12 ს. 40 | „ |
| „ | ღამის | 2 ს. 20 | „ |
| ფოთიდან | დილის | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | საღამოს | 7 ს. 00 | „ |
| შორაპნიდან | დილის | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | დილის | 11 ს — | „ |
| „ | ღამის | 12 ს. 15 | „ |
| ბათომისაკენ | საღამოს | 7 ს. 3 | „ |
| „ | დილის | 5 ს. 55 | „ |
| ფოთისაკენ | დღისით | 4 ს | „ |
| ტყიბულისკენ | დილის | 8 ს. 13 | „ |
| შორაპნისაკენ | დღით | 5 ს. 18 | „ |

**გამოცდილი მასწავლებელი**

სტუდენტი ამზადებს მოწაფეთ ყველა სასწავლებლისთვის ხელმისაწდომ ფასებში.

მისამართი: გაზ. „სამშობლოს“ რედ.

**მუშაობს ხრესილის მადნეული წყლის ძმ. ყორყოლაძეების სამკურნალო**

**აბანო.**

აბანო მდებარეობს მაღლობ, ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას: ქარებს (რევმატიზმს), სხვადასხვაგვარ მუწუკს, ს ყმაწვილობს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას), კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თბილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი ექიმი, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის. არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა და სასმელ-საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ „სერნია ვოდში“. ხრესილში სადგურია მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“. ქუთაისიდან მატარებელი გადის დილით და ბრუნდება საღამოობით.

თ.

**ავი სენი.**

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ. **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, მხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი მხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს, სხეულის სრულიად დაშლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

**პრეპარატი ექ. დე-ვეზისა** ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ შინაურულათ წამლობის დროს.

**პრეპარატი**. ექ. დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს მხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

**პრეპარატი** ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გულსა და მხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

**პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა დიად სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხიმლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს. ხითვარშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 6 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

**პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.**

9—(წლიური)